განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის "იბერია" მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ხაჩიძე

წევრები:

ქეთევან გელაშვილი

თამარ ნასყიდაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: საზოგადოებრივი კოლეჯი “იბერია”

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 212682051

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის "იბერია" მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2019 წლის 19 თებერვალს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადისა და ცენტრის დირექტორის 2019 წლის 26 თებერვლის N154 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ამ მიზნით დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 6 და 7 მარტს.

ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების შემოწმება; პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულის განმახორციელებლებთან შეხვედრა და გასაუბრება; შენობის დათვალიერება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერა და დოკუმენტაციის შემოწმება; ბიბლიოთეკის, რეესტრის (evet.emis.ge) შემოწმება; საქმისწარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება; პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება, ინტერვიუირება და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების შემოწმება.

ვიზიტის პირველი დღის ბოლოს განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამება და დაწესებულებისთვის წარდგენა.

ვიზიტის ბოლოს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტის პერიოდში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	■
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	☐	■
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

	სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.			
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	▬	☐
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	▬	☐
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	▬	☐
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	▬
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	▬	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	▬	☐
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	▬	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის	**მუხლი 7 /**	▬	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**პუნქტი ბ)**		
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☐	▬
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	▬	☐
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☐	▬
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☐	▬
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	☐	▬
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	▬	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	▬	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	▬	☐
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	▬	☐
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე	**მუხლი 7 /**	☐	▬

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

	სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**პუნქტი თ)**		
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	▬	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☐	▬
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	▬	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☐	▬
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	▬	☐

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ ფიქსირდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.1 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი ა)

მეხილეობა-მეჩაიეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას არ აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმით ირკვევა, რომ მოდულების დაგეგმვისას დაცული არ არის პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები. ამასთანავე მოდულებს, რომლებსაც აქვთ დაშვების წინაპირობები, დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის გათვალისწინებული არ აქვთ. შესაბამისად დარღვეულია ქვესტანდარტი.

ქვესტანდარტი 2.3 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი გ)

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ მოდულებში მითითებული სასწავლო ლიტერატურის და რესურსების ნაწილი ბიბლიოთეკას არ აქვს. შესაბამისად, ბიბლიოთეკის ფონდი არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტი 2.5 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი ე)

გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება ჩართულია დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (eflow.emis.ge), დაწესებულებაში შემოსული ნებისმიერი წერილობითი განაცხადი უნდა მუშავდებოდეს ელექტრონულად და იტვირთებოდეს ელექტრონულ სისტემაში. მეხილეობა-მეჩაიეობის პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეების გადამოწმებისას გაირკვა, რომ განმახორციელებლების პირად საქმეში არსებული განცხადებები არ იყო დამუშავებული შესაბამისი წესით და არ იყო ატვირთული ელექტრონულ სისტემაში. აღნიშნული დაურეგისტრირებელი განცხადებების საფუძველზე მოხდა წინარე ხელშეკრულებების გაფორმება მოდულების განმახორციელებლებთან და მათი რეგისტრაცია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში.

ქვესტანდარტი 2.6.1 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)

ექსპერთა ჯგუფის მიერ ვიზუალურად მოხდა დაწესებულებაში არსებული ხანძარსაწინაარმდეგო და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების შემოწმება. დაწესებულების ტერიტორიაზე ხანძარსაწინააღმდეგო ბალონები განთავსებულია შესაბამის ადგილებზე, თუმცა აღმოჩნდა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ცეცხლმაქრების ნაწილი (27 ერთეული) დამუხტულია 2017 წელს, ხოლო ნაწილი (5 ერთეული) - 2018 წლის თებერვალში. შესაბამისად, ისინი ვადაგასულია და ექვემდებარება განახლებას. აქედან გამომდინარე, დარღვეულია ქვესტანდარტი.

ქვესტანდარტი 2.8 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი თ)

ვებგვერდზე არის სიახლეების ველი, თუმცა ბოლო ერთადერთი სიახლე თარიღდება მიმდინარე წლის 6 მარტით. ვებგვერდის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ სერვერზე საკმარისი სივრცის არარსებობის გამო ვეღარ ახერხებენ სიახლეების დამატებას, რაც განაპირობებს საიტზე ატვირთული მასალებისა და ინფორმაციის დიდი ნაწილის გასუფთავებას ახალი ინფორმაციის განთავსების მიზნით. შესაბამისად, დაწესებულებამ დროულად უნდა აღმოფხრას აღნიშნული პრობლემა, უზრუნველყოს ვებგვერდის განახლება და სიახლეებისა და სტრანდარტით მოთხოვნილი დოკუმენტაციის განთავსება.

ქვესტანდარტი 3.2 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 8 / პუნქტი ბ)

დაწესებულების რეგულაციის მიხედვით, პარტნიორი კომპანიის ინსტრუქტორს უნდა ქონდეს პროფესიის შესაბამისი განათლება და/ან პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში. თუმცა შესაბამისი ცნობები ინსტრუქტორებს პირად საქმეებში არ ედოთ. შესაბამისად, ვერ დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირების მიერ.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.1 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი ა)

სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროგრამას მოდულებთან და სასწავლო გეგმასთან ერთად, ჰქონდეს დანართებად გაწერილი და პროგრამასთან ერთად, ერთიანი აქტით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დამტკიცებული, მოდულის განმახორციელებლებსა და სასწავლო გარემოსა და მატერიალურ რესურსებზე ინფორმაცია.

სასურველია მეხილეობა-მეჩაიეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდეს სოფლის მეურნეობის ჩარჩო დოკუმენტის შემადგენელი პუნქტების თანმიმდევრობის დაცვით და ითვალისწინებდეს იმ ფორმულირებებს, რა ფორმულირებასაც მოიცავს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სოფლის მეურნეობის ჩარჩო დოკუმენტი. მაგალითად, დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამა ითვალისწინებს ჩანაწერს - "მისანიჭებელი კვალიფიკაცია" და მითითებულია კვალიფიკაცია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. სოფლის მეურნეობის ჩარჩო დოკუმენტით კი გაწერილია - "მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე". შესაბამისად, მნიშვნელოვანია დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამა ითვალისწინებდეს ჩარჩო დოკუმენტის შესაბამის ფორმულირებებს.

სამი ზოგადი მოდულის დაშვების წინაპირობებში მითითებულია მოდულზე დაშვების წინაპირობად საბაზო განათლება, როდესაც ჩარჩო დოკუმენტში წინაპირობა გაწერილი არაა. შესაბამისად, სასურველია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოდულების დაშვების წინაპირობები შესაბამისობაში მოვიდეს ჩარჩო დოკუმენტთან.

მოდულების ნაწილი სტანდარტულ ჩანაწერებში სწავლის შედეგების გასწვრივ ითვალისწინებს კრედიტებზე ინფორმაციას, ხოლო დამხმარე ჩანაწერებში სასწავლო გარემოსა და მატერიალურ რესურსებზე ინფორმაციას, როდესაც მსგავსი ჩანაწერი აღარ ფიქსირდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 იანვრის N92/ი ბრძანებით ცვლილებაშეტანილ სოფლის მეურნეობის ჩარჩო დოკუმენტში;

დაწესებულების მიერ ადაპტირებულ რამდენიმე პროფესიულ მოდულში გაპარულია ტექნიკური ხარვეზი. მაგალითად, მოდული "გარემოსდაცვითი საფუძვლები" სტანდარტულ ჩანაწერებში ითვალისწინებს შეუსაბამო ჩანაწერს. კერძოდ, სწავლის შედეგთან ერთად მითითებულია შემდეგი: "დარგი გარემოს დაცვის სპეციალისტი მერია". შესაბამისად, დაწესებულებამ მოდულებში არსებული ტექნიკური ხარვეზები უნდა გაასწოროს და შესაბამისობაში მოიყვანოს ჩარჩო დოკუმენტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

სოფლის მეურნეობის ჩარჩო დოკუმენტი რამდენიმე მოდულში შეფასების მეთოდებად ითვალისწინებს ზეპირ გამოკითხვასა და წერით მეთოდს, ხოლო მტკიცებულებებად პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შევსებულ ზეპირი გამოკითხვის შეფასების ფურცელსა და პროფესიული სტუდენტის მიერ შევსებულს ტესტს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რამდენიმე მოდული და მათ შორის მოდული "სურსათის უვნებლობა" შეფასების მეთოდებად ითვალისწინებს "წერითი მეთოდი - ღია/დახურული ტესტი; ზეპირი გამოკითხვა", ხოლო მტკიცებულებად მხოლოდ სტუდენტის მიერ შევსებულ ტესტს. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ მოდულების ადაპტირებისას ორივე შეფასების მეთოდი გაითვალისწინა, მაგრამ მტკიცებულებად წარმოადგინა მხოლოდ ერთი, ამის გამო იქმნება შეუსაბამობა. შესაბამისად, სასურველია დაწესებულებამ ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს მოდულებში შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები;

მოდულის "მოსავლის აღება-შენახვა" საათების განაწილების სქემით ირკვევა, რომ შეფასებისთვის გათვალისწინებულია 5 საათი, 4 სწავლის შედეგისთვის. თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისთვის გათვალისწინებულია 1 საათი. მსგავს ტექნიკურ ხარვეზს ვხვდებით სოფლის მეურნეობის ჩარჩო დოკუმენტშიც. გამომდინარე იქიდან, რომ საათების განაწილების სქემა დამხმარე ჩანაწერების ნაწილია, დაწესებულებამ უნდა გაასწოროს მოდულში არსებული ტექნიკური ხარვეზი და თავისი შეხედულებისამებრ რომელიმე სწავლის შედეგს დაუმატოს ერთი საათი;

მეჩაიეობის პროგრამის კომპონენტის განხორციელება იგეგმა შპს ფერეთაჩაის მიერ. მათი მეურნეობა მდებარეობს მაღალმთიან ადგილას, სადაც ჩვეულებრივი ტრანსპორტით მისვლა შეუძლებელია. ასეთ პირობებში პროფესიული სტუდენტების უსაფრთხო გადაადგილების საკითხი ვიზიტის პერიოდში არც კოლეჯის და არც საწარმოს მხრიდან ბოლომდე გააზრებულ-გადაწყვეტილი არ იყო. პროგრამის ხელმძღვანელთან და თეორიული კომპონენტების განმახორციელებლებთან ინტერვიურების დროს კი გამოირკვა, რომ არსებობს შედარებით ახლო და უსაფრთხო ალტერნატიული ობიექტი წყალტუბოს რაიონში, თერნალის ჩაის საწარმოს სახით, რომელიც შეიძლება განიხილონ პრაქტიკის დამატებით ობიექტად.

ქვესტანდარტი 1.4 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი დ)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქვესტანდარტის ფარგლებში დაწესებულების მისამართით გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე აპლიკანტისგან უნდა ჩაიბაროს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრიდან გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება. აღნიშნული რეგულაცია დაწესებულებას გაწერილი უნდა ჰქონდეს სტუდენტთა ჩარიცხვის წესში და ითვალისწინებდეს სტუდენტის პირადი საქმის დაკომპლექტებისას (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერი №98/ნ ბრძანება „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი");
- მომდევნო საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების გამოცდის სერტიფიკატის ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ასლის მოთხოვნა, მიზანშეწონილი აღარაა;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია შემდეგი: "ამ შინაგანაწესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, თუ სტუდენტს არა აქვს ჩაბარებული შუალედური გამოცდები და არასაპატიო მიზეზით გააცდენს, ლექციებსა და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი საათების საერთო რაოდენობის 30%-ზე მეტს, შეუწყდება სტუდენტის სტატუსი." მე-15 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით გაწერილია შემდეგი: "ლექციაზე მობილური ტელეფონის გამოყენება." აღნიშნული განიხილება წესრიგის დარღვევად, თუმცა გაურკვეველია, რატომ და რა მიზნით შეიძლება გახდეს 30%-ზე მეტი მეცადინეობისათვის განკუთვნილი საათების გაცდენა აღნიშნული დარღვევასთან ერთად პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი და სხვა წესრიგის დარღვევების ფაქტებთან კომბინაციაში არა;
- არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეების დაკომპლექტებისას, დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს საქართველოს სამოქალო კოდექსი. სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის (არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტწლამდე) ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. ამასთან, არასრულწლოვანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში სხვა დოკუმენტებთან ერთად უნდა იდოს არასრულწლოვანი პირის დაბადების მოწმობის და მისი წარმომადგენლის (მშობელი/მეურვე) პირადობის მოწმობის ასლები, რომლითაც დადასტურდება კანონიერი წარმომადგენლობა;

ქვესტანდარტი 2.5 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი ე)

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ბრძანებებში პიროვნების გვარის და სახელის გვერდით, იდენტიფიცირების მიზნებისთვის დააფიქსიროს პირადი ნომრები, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება სტუდენტების სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ბრძანებებს. ასევე, დაწესებულებამ თავის რეგულაციებში გამოიყენოს პროფესიული განათლების შესახებ კანონში გაწერილი ტერმინები.

ქვესტანდარტი 2.8 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი თ)

სასურველია ვებ გვერდზე განთავსდეს ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი, წინა წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები, უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფის რეგულაციები და სხვა.

ქვესტანდარტი 2.9 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი ი)

სტრატეგიულ გეგმაში გაწერილი შესრულების ინდიკატორები უფრო მეტ კონკრეტიზაციას საჭიროებს. სასურველია პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვები იყოს ანონიმური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VII. დაწესებულების მისია

კოლეჯი ,,იბერია'' წარმოადგენს იმერეთის რეგიონში წამყვან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის მისიაა ინდივიდის პიროვნული, პროფესიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების ყველასთვის თანაბარი ხელმისაწვდომობა მთელი ცხოვრების განმავლობაში, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კადრების მომზადება: აგრარული, საინჟინრო და მომსახურების სფეროში. საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შეთავსებადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული მეხილეობა-მეჩაიეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, დირექტორის მიერ 2019 წლის 15 თებერვლის N53 ბრძანებით. პროგრამის განხორციელება დაგეგმილია დუალური მიდგომით.
დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებში და ის შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტს, თუმცა დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამა არ ითვალისწინებდა ჩანაწერს - "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება." საკვალიფიკაციო გამოცდასთან დაკავშირებით ჩანაწერი დაწესებულებას გაწერილი ჰქონდა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/განხორციელების წესში (ბრძანება N50/14.02.2019) (დანართი 2). დაწესებულებას განემარტა, რომ დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელებისას პროგრამა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს კვალიფიკაციის მინიჭების დამატებით პირობად საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში დირექტორის ბრძანებით ცვლილება შეიტანა მეხილეობა-მეჩაიეობის პროგრამაში და საკვალიფიკაციო გამოცდასთან დაკავშირებით ჩანაწერი გააკეთა მასში (N75/06.03.2019) (დანართი 3).

პროგრამის გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ სასურველია მეხილეობა-მეჩაიეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდეს სოფლის მეურნეობის ჩარჩო დოკუმენტის შემადგენელი პუნქტების თანმიმდევრობის დაცვით და ითვალისწინებდეს იმ ფორმულირებებს, რა ფორმულირებასაც მოიცავს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სოფლის მეურნეობის ჩარჩო დოკუმენტი. მაგალითად, დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ ჩანაწერს "მისანიჭებელი კვალიფიკაცია" და მითითებულია კვალიფიკაცია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. სოფლის მეურნეობის ჩარჩო დოკუმენტი კი ითვალისწინებს შემდეგს: "მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე". შესაბამისად, სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამა ითვალისწინებდეს ჩარჩო დოკუმენტის შესაბამის ფორმულირებებს.
დაწესებულების მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ განაცხადს პროგრამასთან ერთად ახლავს მოდულის განმახორციელებლებსა და სასწავლო გარემოსა და მატერიალურ რესურსებზე ინფორმაცია. თუმცა პროგრამაში ისინი დანართებად გაწერილი არ აქვს. შესაბამისად, სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროგრამას მოდულებთან და სასწავლო გეგმასთან ერთად, დანართებად გაწერილი და პროგრამასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ერთად, ერთიანი აქტით დამტკიცებული ჰქონდეს მოდულის განმახორციელებლებსა და სასწავლო გარემოსა და მატერიალურ რესურსებზე ინფორმაცია. ამასთან განაცხადთან ერთად წარმოდგენილი მატერიალურ რესურსებზე დოკუმენტში გაწერილი უნდა იყო მეჩაიეობის მოდულების მატერიალური რესურსი.

მეხილეობა-მეჩაიეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლისას გაირკვა, რომ სასწავლო გეგმაში მოდულების სწავლის შედეგები გადანაწილებულია კოლეჯსა და პარტნიორ საწარმოებს შორის. ხელშეკრულებით ირკვევა, რომ კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ, თითოეული მიღების ფარგლებში საწარმო უზრუნველყოფს პროგრამის იმ სწავლის შედეგების დადასტურებას, რომელთა მიღწევაც წარმოადგენს მისი პასუხისმგებლობის სფეროს. თუმცა სწავლის შედეგების განაწილების შესახებ ინფორმაცია ხელშეკრულებას არ ერთვის. ამასთან, ***დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროგრამას არ აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, რადგან მოდულების დაგეგმვისას დაცული არ არის პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული მოდულებზე დაშვების წინაპირობები. წინაპირობებიან მოდულებს დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის გათვალისწინებულიც არ აქვთ. შესაბამისად პროგრამას არ აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, რის გამოც დარღვეულია ქვესტანდარტი.***

ასევე, წარმოგიდგენთ პროგრამის მოდულების გაანალიზებისას გამოკვეთილ მნიშვნელოვან საკითხებს:

- სამი ზოგადი მოდულის დაშვების წინაპირობებში მითითებულია საბაზო განათლება, როდესაც ჩარჩო დოკუმენტის შესაბამის მოდულებში დაშვების წინაპირობები გაწერილი არაა. აქედან გამომდინარე, დაწესებულებამ მოდულებში დაშვების წინაპირობები შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ჩარჩო დოკუმენტთან;
- ზოგადი მოდულები სტანდარტულ ჩანაწერებში ითვალისწინებს სწავლის შედეგების გასწვრივ კრედიტების რაოდენობას და ჩანაწერს "სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი - ინვენტარი, აღჭურვილობა", როდესაც მსგავს ჩანაწერს აღარ ითვალისწინებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 იანვრის N92/ი ბრძანებით ცვლილებაშეტანილი სოფლის მეურნეობის ჩარჩო დოკუმენტი; მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ეყრდნობა ჩარჩო დოკუმენტს, სასურველია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულებამ ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებები გაითვალისწინოს და ისე შეიმუშაოს პროგრამა;

- დაწესებულების მიერ ადაპტირებულ რამდენიმე პროფესიულ მოდულში გაპარულია ტექნიკური ხარვეზი. მაგალითად, მოდულის "გარემოსდაცვითი საფუძვლები" სტანდარტული ჩანაწერები ითვალისწინებს შეუსაბამო ჩანაწერს. კერძოდ, სწავლის შედეგთან ერთად მითითებულია შემდეგი: "დარგი გარემოს დაცვის სპეციალისტი მერია". შესაბამისად, დაწესებულებამ მოდულებში არსებული ტექნიკური ხარვეზები უნდა გაასწოროს და შესაბამისობაში მოიყვანოს ჩარჩო დოკუმენტთან.
- სოფლის მეურნეობის ჩარჩო დოკუმენტი რამდენიმე მოდულში შეფასების მეთოდებად ითვალისწინებს ზეპირ გამოკითხვასა და წერით მეთოდს, ხოლო მტკიცებულებებად პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შევსებულ ზეპირი გამოკითხვის შეფასების ფურცელსა და პროფესიული სტუდენტის მიერ შევსებულს ტესტს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რამდენიმე მოდული და მათ შორის მოდული "სურსათის უვნებლობა" შეფასების მეთოდებად ითვალისწინებს "წერითი მეთოდი - ღია/დახურული ტესტი; ზეპირი გამოკითხვა", ხოლო მტკიცებულებად გაწერილი აქვს "სტუდენტის მიერ შევსებული ტესტი". გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ მოდულების ადაპტირებისას ორივე შეფასების მეთოდი გაითვალისწინა, მაგრამ მტკიცებულებად წარმოადგინა მხოლოდ ერთი, ამის გამო იქმნება შეუსაბამობა. შესაბამისად, სასურველია დაწესებულებამ ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს მოდულებში შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები;
- მოდულის "მოსავლის აღება-შენახვა" საათების განაწილების სქემით ირკვევა, რომ შეფასებისთვის გათვალისწინებულია 5 საათი, 4 სწავლის შედეგისთვის. თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისთვის გათვალისწინებულია 1 საათი. მსგავს ტექნიკურ ხარვეზს ვხვდებით სოფლის მეურნეობის ჩარჩო დოკუმენტშიც. გამომდინარე იქიდან, რომ საათების განაწილების სქემა დამხმარე ჩანაწერების ნაწილია, დაწესებულებამ უნდა გაასწოროს მოდულში არსებული ტექნიკური ხარვეზი და ერთი საათი გადაანაწილოს თავისი შეხედულებისამებრ.

დაწესებულებას მეხილეობა-მეჩაიეობის პროგრამის განხორციელებისთვის გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პრაქტიკის შემდეგ ობიექტებთან:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ააიპ ფონდი „აფხაზინტერკონტი“;
- შ.პ.ს.“ფერეთა ჩაი“;
- შ.პ.ს.“თ-სულორი”;
- შ.პ.ს.“ადინა“;
- ი/მ ანზორ მსხილაძე.

ხელშეკრულებები გაფორმებულია 2019 წლის თებერვალში და ძალაშია პროგრამის ავტორიზაციის ვადით. პრაქტიკის ობიექტები, მზაობას გამოთქვამენ მიიღონ 15-15 პროფესიული სტუდენტი. თუმცა დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელებისას სასურველია, დაწესებულებამ ერთ ობიექტზე 3-5 სტუდენტზე მეტი არ გადაანაწილოს. დაწესებულების განმარტებით, პროფესიულ სტუდენტებს პარტნიორ საწარმოთა რაოდენობის შესაბამისად თანაბრად გადაანაწილებენ პრაქტიკის ობიექტებზე. შესაბამისად, ისინი პარალელურად ისწავლიან სხვადასხვა საწარმოში. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მეჩაიეობის მოდულების განსახორციელებლად დაწესებულებას მხოლოდ ერთი პრაქტიკის ობიექტი აქვს. შესაბამისად, მათ მოუწევთ ერთდროულად მიიღონ პროგრამაზე არსებული ყველა სტუდენტი.

ვიზიტის პერიოდში შერჩევითად განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის შემდეგ ობიექტებზე, კერძოდ: შპს “თ-სულორისა” და შპს “ფერეთაჩაის” საწარმოებში. შედგა გასაუბრება ხელმძღვანელებთან და პრაქტიკის ინსტრუქტორებთან. ვიზუალურად დათვალიერდა პროგრამით გათვალისწინებული ორივე საწარმოში წარმოდგენილი მატერიალური რესურსი და ტექნიკური აღჭურვილობა. ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი მონაწილეობდნენ სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში და მზად არიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს - „ფერეთაჩაის“ შემთხვევაში, არსებობს გარკვეული რისკები პრაქტიკის განხორციელების თვალსაზრისით. კერძოდ, აღნიშნული მეურნეობა განვითარების საწყის ეტაპზე და გამართვის პროცესშია, მიმდინარეობს ტერიტორიისა და ჩაის ბუჩქების აღდგენითი სამუშაოები, სასწავლო პროგრამით კი გათვალისწინებულია ჩაის კულტურის მოყვანა-წარმოებისთვის ყველა ეტაპის საწარმოში გავლა. კერძოდ, ჩაის ნერგის გამოყვანა, გაშენება, კრეფა, მოვლა და ა.შ. ვინაიდან პრაქტიკის ობიექტზე არსებული ჩაის ბუჩქები არის ახლადაღდგენილი, იბადება კითხვა - რამდენად შესაძლებელია მიმდინარე წელს შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოდულებით გათვალისწინებული ჩაის კრეფის პროცესის განხორციელება. გარდა ამისა, მეურნეობა მდებარეობს მაღალმთიან ადგილას, სადაც ჩვეულებრივი ტრანსპორტით მისვლა შეუძლებელია. ასეთ პირობებში სტუდენტების უსაფრთხო გადაადგილების საკითხი ვიზიტის პერიოდში არც კოლეჯის და არც საწარმოს მხრიდან ბოლომდე გააზრებულ-გადაწყვეტილი არ იყო. პროგრამის ხელმძღვანელთან და თეორიული კომპონენტების განმახორციელებლებთან ინტერვიურების დროს კი გამოირკვა, რომ არსებობს შედარებით ახლო და უსაფრთხო ალტერნატიული ობიექტი წყალტუბოს რაიონში - თერნალის ჩაის საწარმოს სახით, რომელიც შეიძლება განიხილონ პრაქტიკის დამატებით ობიექტად.

<u>ქვესტანდარტი 1.1 დარღვეულია</u>

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროგრამას არ აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, რადგან მოდულების დაგეგმვისას დაცული არ არის პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული მოდულებზე დაშვების წინაპირობები. ამასთანავე, წინაპირობებიან მოდულებს დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის გათვალისწინებული არ აქვთ. შესაბამისად პროგრამას არ აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, რის გამოც ირღვევა ქვესტანდარტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მეხილეობა-მეჩაიეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- სოფლის მეურნეობის ჩარჩო დოკუმენტით;
- სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/განხორციელების წესით;
- ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;
- პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულის განმახორციელებლებთან გასაუბრებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პრაქტიკის ობიექტების დათვალიერებითა და პრაქტიკის ინსტრუქტორებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი). მასში ასახულია დაწესებულების ისტორია, მთავარი ღირებულებები, ინფორმაცია სტუდენტების შესახებ, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში და სხვა.

საგნობრივი და მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები გვაწვდიან ინფორმაციას მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების და მოცულობის, კრედიტების შესახებ. ასევე, კატალოგი მოიცავს საგნობრივ და მოდულურ პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შეფასების წესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კატალოგში ანონსის სახითაა განთავსებული, რომ 2019 წლის გაზაფხულზე დაწესებულება გეგმავს მეხილეობა-მეჩაიეობის პროგრამის განხორციელებას დუალური მიდგომით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2019 წლის კატალოგით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მიერ დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე და სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სოფლის მეურნეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით;
- მეხილეობა-მეჩაიეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია (N106/27.04.2018) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც არეგულირებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარებისა და პროფესიული სტანდარტის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

შინაგანაწესში, რომელიც დამტკიცებულია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,იბერია“ წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კოლეჯის „იბერია“ მიერ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის 2018 წლის 23 თებერვლის ოქმი N2 საფუძველზე, გაწერილია ჩარიცხვის მსურველთა მიერ კოლეჯში წარსადგენი დოკუმენტაცია. კერძოდ:

- განცხადება (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - კანონიერი წარმომადგენლის), რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- დაბადების მოწმობის ასლი;
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე;
- მომდევნო საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში - წინა საფეხურის პროფესიული დიპლომის ან მასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტის, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის, ან ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების გამოცდის სერტიფიკატის ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ასლი;
- 2 ფერადი ფოტოსურათი ზომიით 3x4-ზე.

მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც დაწესებულება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აპლიკანტს მიანიჭებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს, მასთან აფორმებს ხელშეკრულებას (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან).

აქტიური პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები გადამოწმდა და ძირითადად არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეების დაკომპლექტების კუთხით გაიცა რეკომენდაციები. კერძოდ დაფიქსირდა შემდეგი ფაქტები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ერთ-ერთ არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტს პირად საქმეში არ უდევს მშობლის პირადობის მოწმობის ასლი (დანართი 4).
- ერთ-ერთ არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტს პირად საქმეში არ უდევს მშობლის პირადობის მოწმობის ასლი (დანართი 5). ასევე, ამავე სტუდენტის პირად საქმეში არ იდო ხელშეკრულება, რომელიც დაწესებულებამ ვიზიტის დასრულებამდე წარმოადგინა;
- ერთ-ერთ არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში არ დევს მშობლის პირადობის მოწმობა. ამასთან განცხადებას წერს ერთი პირი, ხოლო ხელშეკრულებას ხელს აწერს მეორე პირი. ხელშეკრულებაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სახელი, გვარი და პირადობის მოწმობის ნომერია მითითებული, თუმცა სტუდენტის დაბადების მოწმობაში დედის პირადი ნომერი არ ფიქსირდება. შესაბამისად, კანონიერი წარმომადგენლობის დადასტურება შეუძლებელია (დანართი 6);
- ერთ-ერთ არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტს პირად საქმეში არ უდევს მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, ხოლო ხელშეკრულებასა და დაბადების მოწმობაში განსხვავებული სახელია მითითებული. ამასთან, ხელშეკრულებაში მშობლის პირადობის მოწმობის ნომერი არაა მითითებული (დანართი 7);
- ერთ-ერთ პროფესიულ სტუდენტს ხელშეკრულებაზე არ აქვს ხელი მოწერილი (დანართი 8);

შესაბამისად, მნიშვნელოვანია არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეების დაკომპლექტებისას, დაწესებულებამ გაითვალისწინოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის (არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტ წლამდე) ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. ამასთან, არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში სხვა დოკუმენტებთან ერთად უნდა იდოს არასრულწლოვანი პირის დაბადების მოწმობის და მისი წარმომადგენლის (მშობელი/მეურვე) პირადობის მოწმობის ასლები, რომლითაც დადასტურდება კანონიერი წარმომადგენლობა;

ასევე, დაწესებულების მისამართით გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

- დაწესებულებამ უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე აპლიკანტისგან უნდა ჩაიბაროს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრიდან გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება. აღნიშნული რეგულაცია დაწესებულებას გაწერილი უნდა ჰქონდეს სტუდენტთა ჩარიცხვის წესშიც და ითვალისწინებდეს სტუდენტის პირადი საქმის დაკომპლექტებისას (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერი №98/ნ ბრძანება „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი");
- მომდევნო საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების გამოცდის სერტიფიკატის ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ასლის მოთხოვნა, მიზანშეწონილი აღარაა;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია შემდეგი: "ამ შინაგანაწესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, თუ სტუდენტს არა აქვს ჩაბარებული შუალედური გამოცდები და არასაპატიო მიზეზით გააცდენს, ლექციებსა და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი საათების საერთო რაოდენობის 30%-ზე მეტს, შეუწყდება სტუდენტის სტატუსი." მე-15 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით გაწერილია შემდეგი: "ლექციაზე მობილური ტელეფონის გამოყენება." აღნიშნული განიხილება წესრიგის დარღვევად, თუმცა გაურკვეველია, რატომ შეიძლება გახდეს 30%-ზე მეტი მეცადინეობისათვის განკუთვნილი საათების გაცდენა აღნიშნულ დარღვევასთან ერთად პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი და სხვა წესრიგის დარღვევების ფაქტებთან კომბინაციაში არა.

კოლეჯის მიერ გაწერილი მიღებული განათლების აღიარების წესით ირკვევა, რომ დაწესებულება ადგენს თავის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ. კოლეჯის მიერ სწავლის შედეგების აღიარებისათვის შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას საგანმანათლებლო პროგრამა (სასწავლო კურსი/მოდული, სილაბუსი/კალენდარული გეგმა) ან დამატებით სხვა ინფორმაცია, რომლის წარდგენის ვალდებულება ეკისრება სტუდენტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულებაში გარე მობილობა არ განხორციელებულა, ხოლო შიდა მობილობა ერთი პროგრამიდან სხვა პროგრამაზე გადასვლისას, უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში. დაწესებულება შიდა მობილობად განიხილავს ერთი პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის ერთი ჯგუფიდან მეორე ჯგუფში გადასვლას (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის). მსგავსი შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული სწავლის დასრულებამდე ერთი თვით ადრე.

კოლეჯში შიდა მობილობა ფაქტიურად არ განხორციელებულა. ფიქსირდება პროფესიული სტუდენტის ერთი ჯგუფიდან მეორე ჯგუფში გადასვლა, რაც ბრძანებაში ფორმულირებულია როგორც „შიდა მობილობა“. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ბრძანებების საკონსტატაციო ნაწილში ვხვდებით შეუსაბამობებს (მითითებულია ბრძანების გამოქვეყნების არასწორი თარიღი, შეუსაბამო მუხლი და პუნქტი). შესაბამისად, მნიშნელოვანია დაწესებულების მიერ გასწორდეს შეუსაბამობები (დანართი 18).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- შინაგანაწესით;
- პირადი საქმეებით;
- სამართლებრივი აქტებით - ბრძანებებით სტუდენტთა შიდა მობილობის განხორციელების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სამართლებრივი აქტებით - დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებით სტუდენტთა შიდა მობილობის განხორციელების შესახებ (ბრძანება №182 კ 05.12.2018; 13 კ 14.02.2019)

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით (N66/01.03.2019) დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებისა და პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი. კოლეჯის მიერ განხორციელებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, როდესაც პროგრამის გაუქმების ინიციატორი თავად დაწესებულებაა, ხარისხის მართვის მენეჯერი პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების დაცვის და შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მიზნით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეისწავლის გასაუქმებელი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონათესავე მოდულურ პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების, ან ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხს და ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებამდე კოლეჯი უზრუნველყოფს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მემორანდუმის გაფორმებას და პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარების შეთანხმებას და/ან მონათესავე პროგრამაზე გადაყვანას, რის შესახებაც სათანადო ინფორმაციას წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული დასკვნისა და კოლეჯის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების საფუძველზე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს ასევე ეძლევათ მიმდინარე საფეხურის დასრულების შესაძლებლობა მილევად რეჟიმში.

დაწესებულებას დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (N6/05.03.2019) სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს მხარეთა მიერ, პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი დუალური მიდგომით გასახორციელებელი საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “მეხილეობის” განხორციელება. განხორციელების ფარგლებში მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

ა) ერთი და იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა მობილობის პროცესის ორგანიზებასა და ხელშეწყობაზე;

ბ) პროგრამების განმახორციელებელი და ადმინისტრაციული პერსონალის გამოცდილების ურთიერთგაზიარებაზე;

გ) ერთობლივი საგანმანათლებლო, შემოქმედებითი პროექტებში (კონფერენციები, გამოფენები, მასტერკლასები და სხვა) მონაწილეობის მიღებაზე;

დ) სასწავლო ბეჭდური გამოცემებისა და ელექტრონული ფორმის მასალების გაცვლაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნული მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით, რომელიც შეიძლება შეწყდეს წერილობითი შეტყობინების საფუძველზე ნებისმიერი მხარის მიერ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებისა და პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დირექტორის ბრძანებით (N103/27.04.2018) დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი. საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შეიმუშავებს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმას;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების გზამკვლევს შიდა შეფასების ექსპერტებისთვის;

გ) კითხვარებს სტუდენტების, პედაგოგების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელი ორგანიზაციებისათვის.

სტუდენტის მიერ პედაგოგის შეფასება პედაგოგის შეფასების მნიშვნელოვანი მეთოდია, რისთვისაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის ანკეტა-კითხვარებს; სტუდენტების გამოკითხვა უნდა განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამების მიმდინარეობისას ორჯერ - დასაწყისში და დასასრულს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესით ირკვევა, რომ სტუდენტების "გამოკითხვა არის ანონიმური და აუცილებელია კონფიდენციალურობის დაცვა. სტუდენტების გამოკითხვის შედეგად ხდება შედეგების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი, მათი საჯაროდ გამოქვეყნება, გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება და დაწესებულების ადმინისტრაციისათვის წარდგენა" (დანართი 9).

პედაგოგის თვითშეფასების ანგარიშის ანალიზის საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი წარადგენს რეკომენდაციებს, ადმინისტრაციის წინაშე სასწავლო საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით. გამოკითხვები ასევე ტარდება საგანმანათლებლო დაწესებულებაში და იმ ორგანიზაციებთან და პრაქტიკის ობიექტებთან, რომლებთანაც კოლეჯს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები/მემორანდუმები. პროგრამების განხორციელების შეფასებისას გამოიყენება შემდეგი ფორმები:

- ადმინისტრაციის ინტერვიუს ფორმა
- დამსაქმებელთა გამოკითხვა;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- მასწავლებლის ინტერვიუს ფორმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა;
- სილაბუსის/კალენდარული გეგმის შეფასების ფორმა;
- სტუდენტის ინტერვიუს ფორმა.

დაწესებულების მიერ ზემოთხსენებული ფორმების ნაწილი გამოიყენება გამოკითხვებისთვის. ძირითადად მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, ასევე საკონტაქტო საათზე დასწრება, თუმცა შედეგების საჯაროდ გამოქვეყნება არ ხდება. საჯაროდ გამოქვეყნების ვალდებულება დაწესებულებას თავისივე რეგულაციაში აქვს გაწერილი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ თავისივე რეგულიციის დაცვით უზრუნველყოს ანგარიშების ვებ გვერდზე განთავსება.

ასევე, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებულია, თავისი ფუნქცია-მოვალეობებიდან და საქმიანობიდან გამომდინარე, ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ, თუმცა მასზე დამტკიცების რეკვიზიტები დატანებული არაა. სამუშაო გეგმაში გაწერილია მიზნები, აქტივობები, შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და ინდიკატორი/მტკიცებულებები. სამუშაო გეგმაში რამდენიმე აქტივობას მტკიცებულებებად ბრძანების რეკვიზიტები ჰქონდა მითითებული, რაც არაა მიზანშეწონილი. მაგალითად, ერთ-ერთ აქტივობად გაწერილია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შემუშავება, ხოლო ინდიკატორად "შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის "იბერია" დირექტორის ბრძ. N15/18.01.2019)". ასევე, აქტივობაა "საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების/დამატების შეთოდოლოგიის შემუშავება" და ინდიკატორად მითითებულია მეთოდოლოგიის ბრძანებით დამტკიცების რეკვიზიტები (N49/14.02.2019) (დანართი 10).

ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წინა წლებშიც ხორციელდებოდა გამოკითხვები და მიმდინარეობდა მიღებული მონაცემების ანალიზი. ასევე შემუშავებულია 2018 წლის ანგარიში, რომელიც მოიცავს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ანგარიშით ირკვევა, რომ სისტემატური ხასიათი მიეცა მასწავლებლებთან კონსულტაციებსა და სამუშაო შეხვედრებს საგაკვეთილო პროცესის სწორად დაგეგმვისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით. ხორციელდება საკონტაქტო საათზე დასწრება და მოსმენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გაკვეთილების ანალიზი, რამაც წარმოაჩინა დადებითი მომენტები, ასევე, მასწავლებელთა ნაწილის მიერ მოდულის კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების გარკვეული ხარვეზებით წარმოების შემთხვევები, ასევე სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენების, სასწავლო პროცესში სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობის საჭიროებები, რის გამოც მათ ეძლევათ სხვადასხვა სახის რეკომენდაციები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესით;
- ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო გეგმით;
- 2018 წლის ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიშით;

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება განთავსებულია ქ. ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N12-ში მდებარე შპს "ქართულ-ევროპული სკოლის" შენობაში, რომელიც საიჯარო ხელშეკრულებით, 2016 წლის 10 მარტიდან 2021 წლის 17 მარტამდე, დროებით სარგებლობისთვის საკუთრებაში აქვს გადაცემული სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს "იბერია".

კოლეჯი ფლობს სახელმწიფოს მიერ გადაცემულ ფართს ქ. ქუთაისში, ნიკეას N15-ში. შენობის საერთი ფართი შეადგენს 2268.73 კვ.მ-ს. ასევე, მათ მფლობელობაშია ქალაქ ბაღდათში არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - 3500 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №12	3200
2	ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №15	2268.73
3	ქ. ბაღდათი, რუსთაველის ქ. №80	3500

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით;
- იჯარის ხელშეკრულებით;
- შენობის ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის გამოიყენება ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქ. N12-ში მდებარე ფართი, რომელიც მოიცავს ოთხ სართულს და განთავსებულია სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი აუდიტორიები - A, B და C გარემოები.

დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოიყენება ორი B და სამი A გარემო, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება ევალება პარტნიორ ორგანიზაციებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულებებით;
- საწარმოს ინსტრუქტორებთან გასაუბრებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები. შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. ელექტროენერგია უწყვეტად და შეუფერხებლად მიეწოდება სასწავლო აუდიტორიებს და შენობის მთლიან ფართს; სველი წერტილები არის მოწესრიგებული, ხოლო შშმ პირებისთვის - ადაპტირებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ენერგიის, ბუნებრივი გაზის ნასყიდობის ხელშეკრულებებით;
- გადახდის ქვითრებით;
- საგადასახადო ანგარიშფაქტურით - შპს სოკარ ჯორჯია გაზი;
- საგადასახადო ანგარიშფაქტურით - შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია";
- საგადასახადო ანგარიშფაქტურით - სს ენერგო-პრო ჯორჯია;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის ნაწილი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით, ნაწილი - ელექტრონული სახით, ხოლო ზოგიერთი სახელმძღვანელო არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის დაცვით. ამასთან, დაწესებულებას გაფორმებული აქვს სახელმძღვანელოების თხოვების ხელშეკრულება მეხილეობა-მეჩაიეობის პროგრამისთვის 16 წიგნის თხოვების თაობაზე, შემდგომი კოპირებისა და ბეჭდვის მიზნით (დანართი 11). დაწესებულებამ წარმოადგინა თხოვების ხელშეკრულებით გათვალისწინებული წიგნები, რომელთაგან ორი არ შეესაბამება მოდულებში მითითებულ ძირითად სასწავლო რესურსებს და დაწესებულების განმარტებით, ისინი წარმოადგენენ დამატებით ლიტერატურას. თუმცა ამ წიგნების გარდა, ***ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ მოდულებში მითითებული სასწავლო ლიტერატურის და რესურსების ნაწილი ბიბლიოთეკას არ აქვს. შესაბამისად, ბიბლიოთეკის ფონდი არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას, რის გამოც დარღვეულია ქვესტანდარტი.***

ბიბლიოთეკა აღჭურვილია ორი კომპიუტერით, რომელშიც არის ინტერნეტით სარგებლობის საშუალება. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დაწესებულებაში არსებობს ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (N148 / 29.06.2016).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის დებულებით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- სასწავლო რესურსებით;
- თხოვების ხელშეკრულებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, აქვს მუდმივი ინტერნეტი, შიდა ქსელი და უკაბელო შიდა ქსელი (WiFi). ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი ოთახები აღჭურვილია სათანადო ტექნიკით (პერსონალური და პორტატული კომპიუტერებით, პრინტერებით). კოლეჯს აქვს ვებ-გვერდი (www.iberias.ge)

კოლეჯი მეხილეობა-მეჩაიეობის პროგრამის განხორციელებისათვის ფლობს 30 კომპიუტერს პროფესიული სტუდენტებისთვის ორ სასწავლო სივრცეში. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში. კერძოდ, ფუნქციონირებს ერთი კომპიუტერული კაბინეტი და ერთი კომპიუტერებითა და ე.წ. "ჭკვიანი დაფით" აღჭურვილი აუდიტორია უცხო ენის სწავლებისთვის.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ისინი გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. აუდიტორიები დანიშნულებისამებრ აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და სადემონსტრაციო საშუალებებით.

დაწესებულება ფლობს 216 პერსონალურ კომპიუტერსა და 61 ნოუთბუქს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- საინვენტარიზაციო აღწერის (შედარებითი უწყისი) დოკუმენტით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება ხელმძღვანელობს დირექტორის მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების ერთიანი წესით. დაწესებულება ასევე ჩართულია დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (eflow). შემოწმებულ იქნა ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალები, რომელიც აკინძული და დანომრილია საქმისწარმოების წესის შესაბამისად. კერძოდ: შემოსული, გასული წერილები და კორესპონდენციები; ბრძანებები; ხელშეკრულებები; ოქმები.

გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება ჩართულია დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (eflow.emis.ge), დაწესებულებაში შემოსული ნებისმიერი წერილობითი განაცხადი უნდა მუშავდებოდეს ელექტრონულად შესაბამისი წესით და იტვირთებოდეს ელექტრონულ სისტემაში. მეხილეობა-მეჩაიეობის პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეების გადამოწმებისას გაირკვა, რომ განმახორციელებლების პირად საქმეში არსებული განცხადებები არ იყო დამუშავებული შესაბამისი წესით და არ იყო ატვირთული ელექტრონულ სისტემაში. თუმცა აღნიშნული განცხადებების საფუძველზე მოხდა წინარე ხელშეკრულებების გაფორმება მოდულების განმახორციელებლებთან და მათი რეგისტრაცია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში (დანართი 12).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შესაბამისად, მნიშვნელოვანია საქმისწარმოების წესის და შინაგანაწესის შესაბამისობაში მოყვანა. ასევე, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ბრძანებებში პიროვნების გვარის და სახელის გვერდით, იდენტიფიცირების მიზნებისთვის დააფიქსიროს პირადი ნომრები, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება სტუდენტების სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ბრძანებებს. ასევე, დაწესებულებამ თავის რეგულაციებსა და ბრძანებებში გამოიყენოს პროფესიული განათლების შესახებ კანონში გაწერილი და პროფესიულ განათლებაში გამოყენებული ტერმინები. მაგალითად, ნაცვლად "სტუდენტის ჩარიცხვისა", გამოიყენოს "სტატუსის მინიჭება" და სხვა.

დაწესებულება ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო მართვის სისტემას (evet.emis.ge) - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრს, რომელიც ხელმძღვანელობს რეესტრის წარმოების საერთო წესით. რეესტრში სრულყოფილადაა ასახული ინფორმაცია სტუდენტებისა და პროფესიული პროგრამების განმახორციელებლების შესახებ. ვიზიტის პერიოდში რეესტრის მონაცემებით, საგანმანათლებლო პროგრამებზე ირიცხება 398 პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პირი, ხოლო 80 პედაგოგიდან 72 მასწავლებელი არის მოქმედი.

რეესტრის გადამოწმებით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტების შესახებ დროულად ხორციელდება სტატუსის ცვლილებების შესახებ ინფორმაციის ასახვა, ასახული ბრძანებების სრულ სურათს იძლევა სტუდენტის ისტორიაც. ასევე სრულყოფილად და ვადების დაცვით ხდება ინფორმაციის განახლება პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების საქმისწარმოების წესით (ბრძანება N96/03.04.2017);
- მოდულის განმახორციელებლის პირადი საქმით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო მართვის სისტემით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☒ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შრომის დაცვა და ტექნიკური მოთხოვნები შეესაბამება საერთაშორისო და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების სამსახური დამატებით ახორციელდებს ISO 9001:2015-ის შესაბამის პროცედურებს. სამსახურის მიზანია უზრუნველყოს შრომის დაცვის თვალსაზრისით პერსონალისთვის საფრთხის შემცველი ადგილების გამოვლენა, განახორციელოს საფრთხის ანალიზი, შეაფასოს ამ საფრთხის მოხდენის რისკი და საკონტროლო ზომები ტექნიკური უსაფრთოხების მოთხოვნების შესასრულებლად. პასუხისმგებლობები გადანაწილებულია კოლეჯის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, ხარიხის მართვის მენეჯერსა და შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერს შორის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საევაკუაციო გეგმა გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალურად მოხდა დაწესებულებაში არსებული ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების შემოწმება. დაწესებულების ტერიტორიაზე ხანძარსაწინააღმდეგო ბალონები განთავსებულია შესაბამის ადგილებზე, ***დაწესებულებაში განთავსებული ცეცხლმაქრების ნაწილი (27 ერთეული) დამუხტულია 2017 წელს, ხოლო ნაწილი (5 ერთეული) - 2018 წლის თებერვალაში. შესაბამისად, დამუხტვის ერთწლიანი ვადა გასულია და ექვემდებარებიან გადამუხტვას. აქედან გამომდინარე დარღვეულია ქვესტანდარტი*** (დანართი 13, დანართი 14).

დაწესებულებაში არის სამედიცინო დახმარების სპეციალისტი, რომელიც ნებისმიერი უბედური შემთხვევის დროს პირველად გადაუდებელ დახმარებას უწევს დაზარალებულს. დაწესებულებაში მოქმედებს სამედიცინო კაბინეტი, სადაც განთავსებულია პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები და ინვენტარი. არსებობს მედიკამენტების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალი, სადაც მიეთითება ავადმყოფის სახელი გვარი, გაცემული მედიკამენტის სახელწოდება, რაოდენობა და მომხმარებლის ხელმოწერა. სამედიცინო პუნქტზე პასუხისმგებელი პირი წლის დასაწყისში მიმართავს დირექტორს საჭირო ინვენტარისა და მედიკამენტების მოთხოვნით. მოთხოვნილი სამკურნალო საშუალებების მიღების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

წესრიგის დაცვისთვის დაწესებულებას ჰყავს შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერი და 12 დაცვის თანამშრომელი. დაწესებულება ასევე აღჭურვილია ვიდეოკამერებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუირებით;
- შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების დოკუმენტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსმპ ასისტენტის და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდაჭერის (ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა) და სპეციალური მომვლელის ჩართას. საჭიროების შემთხვევაში, მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც წარმოადგენს მოდულის მოდიფიკაციას და/ან აკომოდაციას და შესაბამისად აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ამასთან, ინკუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები აქტიურად მუშაობენ პროფესიულ სტუდენტებთან, მათთან გასაუბრების მომენტშიც სსსმ პროფესიული სტუდენტები ასრულებდნენ სხვადასხვა აქტივობებს. საჭიროებებიდან გამომდინარე, მათთვის მუშავდება სასწავლო მასალები. სსსმ პროფესიული სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელიც მაღალია.

დაწესებულების ფართი ადაპტირებულია. შენობის ერთ მხარეს კიბის უჯრედებზე დამონტაჟებულია პანდუსები. შესაბამისად, მათ აქვთ წვდომა სასწავლო აუდიტორიებთან, ბიბლიოთეკასთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. ასევე, შენობაში სველი წერტილები ადაპტირებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას, რადგან მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით მასზე განთავსებულია სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა - ორგანოგრამა, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, პერსონალი). ასევე, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული რეგულაციები, სტრატეგიული გეგმა. ვებ გვერდი იძლევა წერილის მიწერის და გამოკითხვის ჩატარების შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ვებგვერდზე არის სიახლეების ველი, თუმცა ბოლო ერთადერთი სიახლე თარიღდება მიმდინარე წლის 6 მარტით. ვებგვერდის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ სერვერზე საკმარისი სივრცის არარსებობის გამო ვეღარ ახერხებენ სიახლეების დამატებას, რაც განაპირობებს საიტზე ატვირთული მასალების და ინფორმაციის დიდი ნაწილის გასუფთავებას ახალი ინფორმაციის განთავსების მიზნით. აღნიშნული პრობლემა ცნობილია დირექციის და ადმინისტრაციისთვის. დირექციის განმარტებით მიმდინარეობს აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის და ვებგვერდის განახლების სამუშაოები (დანართი 15). შესაბამისად, დაწესებულებამ დროულად უნდა აღმოფხვრას აღნიშნული პრობლემა, უზრუნველყოს ვებგვერდის განახლება და სიახლეებისა და სტანდარტით მოთხოვნილი დოკუმენტაციის განთავსება.

სასურველია, სტანდარტით მოთხოვნილი დოკუმენტაციის გარდა, ვებ გვერდზე განთავსდეს ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი, წინა წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები, უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფის რეგულაციები და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ გვერდით www.iberias.ge ;
- დომენის ფლობის ხელშეკრულებით (N61/23.04.2018);
- ჰოსტინგის ფლობის ხელშეკრულებით (N60/23.04.2017);
- IT სპეციალისტის მოთხოვნის წერილით საიტის განახლებასთან დაკავშირებით;
- ინტერვიურებით დირექციასთან და ვებგვერდის მწარმოებელ პასუხისმგებელ პირთან.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
■ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ. სტრატეგიული დაგეგმარების საქმიანობის განხორციელების მიზნით დაწესებულებაში შექმნილია სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის მიერ შედგენილია და შემდგომში, მათ მიერვე დირექტორთან წარდგენილი ერთწლიანი განვითარების სამოქმედო და ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმები, შემდგომ დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია სტრატეგიული მიზნები, წლების მიხედვით განსახორციელებელი ამოცანები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები და რისკები. მაგალითად, ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს “პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ინიციატივების მხარდაჭერა”, ხოლო შესრულების ინდიკატორად გაწერილია “შესაბამისი დოკუმენტაცია”. აქედან გამომდინარე, შესრულების ინდიკატორები უფრო მეტ კონკრეტიზაციას საჭიროებს.

ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმაში გაწერილია დუალური პროგრამების დამატება სოფლის მეურნეობის მიმართულებით. ამ კუთხით ძირითადი დატვირთვა გასატარებელი ღონისძიებების, კერძოდ მატერიალურ ტექნიკური ბაზის და აღჭურვილობის უზრუნველყოფის მიზნით პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებზე მოდის. 2019-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის SWOT ანალიზში მოყვანილია ძლიერი და სუსტი მხარეები და საუბარია მოსალოდნელ საფრთხეებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ერთ-ერთ ძლიერ მხარედ წარმოჩინდა ინკლუზიური მიმართულებით მუშაობა, რაც რატომღაც არ არის სვოტ ანალიზში მოხსენიებული. დაწესებულება სტრატეგიული გეგმების შეფასების კუთხით ატარებს თანამშრომლების, პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვას წინასწარ შედგენილი კითხვარებით, რაც გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, უზრუნველყოფს მეტი ადამიანის ჩართულობას და შესაბამისად მათი მოსაზრებების გათვალისწინებას. პროფესიულ სტუდენტთა კითხვარების გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ მათი სახელი, გვარებია მითითებულია (დანართი 16). შესაბამისად, სასურველია პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა იყოს ანონიმური.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯის „იბერია“ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით (ბრძანება N15/18.01.2019);
- სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „იბერია“ სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ ბრძანებით;
- სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯის „იბერია“ ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმით 2018-2019;
- სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯი „იბერია“ სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2024წწ;
- გამოკითხვებთან დაკავშირებით შევსებული კითხვარების ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიურებით სტრატეგიული გეგმის შემმუშავებელი ჯგუფის თავმჯდომარესთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{ქუთაისი, 2019}

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. პირადი საქმეები სრულადაა დაკომპლექტებული, უდევთ თანამდებობრივი ინსტრუქცია და უდასტურდებათ სამუშაო გამოცდილება. ასევე, გადამოწმდა მედდის, ბიბლიოთეკარისა და დაცვის თანამშრომლის პირადი საქმეები. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკარს შესაბამისი კვალიფიკაცია არ აქვს, 2007 წლიდან უფიქსირდება ბიბლიოთეკარად მუშაობის გამოცდილება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალის პირადი საქმეებით;

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შინაგანაწესით ირკვევა, რომ კოლეჯი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისას უფლებამოსილია წინასახელშეკრულებლო პერიოდში კანდიდატს მოსთხოვოს ინფორმაციის წარდგენა სამუშაო გამოცდილების შესახებ, რომელიც ესაჭიროება დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. ამასთან, დაწესებულებას თავისივე რეგულაციაში გაწერილი აქვს, რომ პარტნიორი კომპანიის ინსტრუქტორს უნდა ქონდეს პროფესიის შესაბამისი განათლება და/ან პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში. თუმცა შესაბამისი ცნობები პარტნიორი ორგანიზაციების ინსტრუქტორებს პირად საქმეებში არ უდევთ. შესაბამისად, ***ვერ დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირების მიერ (დანართი 12, დანართი 17), რის გამოც დარღვეულია ქვესტანდარტი.***

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შინაგანაწესით;
- პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტებით.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის შინაგანაწესით ირკვევა, რომ თანამშრომელი სამუშაოზე მიიღება გასაუბრებით, ან საკონკურსო შერჩევის წესით მხარეებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. ადმინისტრაციასთან ინტერვიუირებით გაირკვა, რომ ისინი დაუკავშირდნენ პირს, რომელიც ამჟამად არის მეხილეობა-მეჩაიეობის პროგრამის ხელმძღვანელი და მან შეარჩია დარგობრივი მოდულის განმახორციელებლები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დაწესებულებამ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა განახორციელოს საკუთარი რეგულაციის დაცვით.

მოდულის განმახორციელებლებთან გაფორმებულია წინარე შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც მითითებულია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ავტორიზაციის გავლის შემდეგ, პროგრამის ამოქმედებისთანავე, დასაქმებულთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება, მასწავლებლის პოზიციაზე, შესაბამისი ანაზღაურებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შინაგანაწესით;
- ინტერვიუირებით ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეული

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	მეხილეობა-მეჩაიეობა	მეოთხე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში (010169)	90	120	ქართული	ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ.№ 12	0	15

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1 - დღის წესრიგი:

დანართი 2 - სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/განხორციელების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დანართი 3 - მეხილეობა-მეჩაიეობის პროგრამა ;

დანართი 4 - პირადი საქმე;

დანართი 5 - პირადი საქმე;

დანართი 6 - პირადი საქმე;

დანართი 7 - პირადი საქმე;

დანართი 8 - პირადი საქმე;

დანართი 9 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;

დანართი 10 - ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო გეგმა 2019 წელი;

დანართი 11 - თხოვების ხელშეკრულება;

დანართი 12 - პირადი საქმე;

დანართი 13 - ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

დანართი 14 - ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

დანართი 15 - სამსახურებრივი ბარათი;

დანართი 16 - კითხვარი;

დანართი 17 - პირადი საქმე;

დანართი 18 - ბრძანება პროფესიულ სტუდენტთა შიდა მობილობის შესახებ.

15.03.2019

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---